შემოსული № 01-02/13931
07 04 20 25
ფურცელი

კავკასუს ონლაინი

ცვლილება შპს "კავკასუს ონლაინის" მიერ ინტერნეტის გლობალურ რესურსთან დაშვების შეთავაზების წინადადებაში

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.comcom.ge) 2019 წლის 1 ივლისს გამოქვეყნებულ შპს "კავკასუს ონლაინის" მიერ ინტერნეტის გლობალურ რესურსთან დაშვების შეთავაზების წინადადებაში, მასში შესული ყველა ცვლილების გათვალისწინებით, (მოხსენიებული, როგორც "**მოწვევის ოფერტა**") შევიდეს შემდეგი ცვლილება:

1. შეიცვალოს **მოწვევის ოფერტის** მუხლი 2.1 და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

   "2.1. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2015 წლის 29 იანვრის N57/9 და 2019 წლის 14 მაისის №გ-19-9/285 გადაწყვეტილებების შესაბამისად კავკასუს ონლაინი უზრუნველყოფს მეორე მხარისათვის ინტერნეტის გლობალურ და საქართველოში განთავსებულ ინტერნეტ რესურსებთან დაშვების მომსახურების მიწოდებას წინამდებარე მოწვევის ოფერტის შესაბამისად. წინამდებარე ოფერტა არ არეგულირებს და, შესაბამისად, დაინტერესებულ პირსა და კავკასუს ონლაინს შორის ცალკე მოლაპარაკებისა და შეთანხმების საგანია 9999 მბ/წმ გამტარუნარიანობის სიმძლავრეზე მეტი მოცულობის ინტერნეტის გლობალურ რესურსთან დაშვების მომსახურების პირობები."

2. შეიცვალოს **მოწვევის ოფერტის** მუხლი 2.6 და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

   "2.6. "ინტერნეტ მომსახურების ხელშეკრულება" ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 12 (თორმეტი) თვის ვადით."

3. შეიცვალოს **მოწვევის ოფერტის** მუხლი 3.6 და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

   "3.6. „ონლაინი" ინტერნეტის გლობალურ რესურსთან დაშვების მომსახურების გაწევას უზრუნველყოფს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2018 წლის 10 მაისის N4 დადგენილების, „ინტერნეტ-მომსახურების მიწოდების ხარისხის განსაზღვრისა და შემოწმების წესების დამტკიცების თაობაზე", შესაბამისად შემდეგი პარამეტრებით:

ა) ჯიტერი (მილიწამი)	<50
ბ) დაყოვნება (მილიწამი)	<150
გ) დაკარგული პაკეტების კოეფიციენტი (%)	<3
დ) მომსახურების ხელმისაწვდომობა (კალენდარულ თვეში, „საპატიო მოცდენის" ხანგრძლივობის გარეშე) დანართი #1-ით განსაზღვრული პირობებით	99.5 %

შ-25-6/1377
07.04.25
3+1ფ

აღნიშნული პარამეტრებიდან ნებისმიერის გაზომვა ხდება „აქცეპტანტისა" და „ონლაინის" ურთიერთჩართვის წერტილიდან შავი ზღვის კაბელის ბულგარეთის ტერმინალურ სადგურში არსებულ აგრეგაციის წერტილამდე (ბალჩიკი, ბულგარეთი) და (ა)-(გ) პარამეტრებიდან ნებისმიერის გაუარესება წარმოადგენს მომსახურების ხელმისაწვდომობის პარამეტრის დარღვევას "

4. შეიცვალოს **მოწვევის ოფერტის** მუხლში 4.2 მითითება საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიის ელექტრონული ფოსტის ძველ მისამართზე (post@gncc.ge) და მის ნაცვლად მიეთითოს მიმდინარე მისამართი - post@comcom.ge.

5. შეიცვალოს **მოწვევის ოფერტის** მუხლი 7.1 და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"7.1. წინამდებარე ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვების შეთავაზების წინადადება ძალაშია და მოქმედებს 2027 წლის 15 აპრილამდე."

6. შეიცვალოს **მოწვევის ოფერტის** მუხლი 7.2 და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"7.2. წინამდებარე მოწვევის ოფერტის #1 დანართით განსაზღვრული, ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვების მომსახურების ტარიფები ძალაში შედის 2025 წლის 15 აპრილიდან."

7. შეიცვალოს **მოწვევის ოფერტის** დანართი #1 სრულად და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"შპს "კავკასუს ონლაინის" მიერ ინტერნეტის გლობალურ და საქართველოში განთავსებულ რესურსებთან დაშვების მომსახურების ტარიფები:

ინტერნეტის გლობალურ რესურსთან 1 მბ/წმ გამტარუნარიანობის სიმძლავრით დაშვების საფასური ლარში, დღგ-ს გარეშე	ინტერნეტის გლობალურ რესურსთან დაშვებისათვის მოთხოვნილი გამტარუნარიანობის სიმძლავრის მოცულობა გამოხატული მბ/წმ ერთეულში
6	1-1000
5	1001-9999

საქართველოში განთავსებულ ინტერნეტის რესურსებთან 1 მბ/წმ გამტარუნარიანობის სიმძლავრით დაშვების საფასური ლარში, დღგ-ს გარეშე	0.50 ლარი

შპს "კავკასუს ონლაინის" ურთიერთჩართვის წერტილის მისამართია: წინამძღვრიშვილის ქუჩა #160, ქ. თბილისი, საქართველო

8. **მოწვევის ოფერტ**ის ყველა სხვა პუნქტი და მუხლი დარჩეს უცვლელი.
9. ეს დოკუმენტი წარმოადგენს მოწვევის ოფერტის განუყოფელ ნაწილს.
10. ამ დოკუმენტით განსაზღვრული ცვლილებები ძალაში შედის 2025 წლის 15 აპრილიდან.

პატივისცემით,

რევაზ კოპალაძე

გენერალური დირექტორი

შპს კავკასუს ონლაინი
კანცელარია
211380833
Chancellery
Caucasus Online LLC